



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 494/ს
27/09/2023

494-21-4-202309271457



ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. მერიაში, შპს „პლასტიკ ადიოსის“ ნარჩენების აღდგენაზე (პლასტმასის ნარჩენების გადამუშავება) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, შპს „პლასტიკ ადიოსის“ (ს/კ: 406371974) მიერ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში 2023 წლის 5 ივნისს (წერილი №5039) წარმოდგენილია ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. მერიაში ნარჩენების აღდგენის (პლასტმასის ნარჩენების გადამუშავების) გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში და კანონით გათვალისწინებული თანდართული დოკუმენტაცია, რაზეც სააგენტომ უზრუნველყო საექსპერტო კომისიის (ბრძანება №270/ს; (14/06/2023)) შექმნა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება. გზმ-ის ანგარიში მომზადებულია შპს „გარემოსდაცვითი შეფასების ჯგუფის“ მიერ.

2023 წლის 10 იანვარს შპს „პლასტიკ ადიოსის“ მიერ წარმოდგენილი იყო ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ნარჩენების აღდგენის სკრინინგის განცხადება (წერილი №57), რაზეც გარემოს ეროვნული სააგენტოს 2023 წლის 17 თებერვლის №86/ს ბრძანებით გაიცა სკრინინგის გადაწყვეტილება და საქმიანობა დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

2023 წლის 10 მარტს შპს „პლასტიკ ადიოსის“ მიერ სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით სააგენტოში წარმოდგენილ იქნა სკოპინგის ანგარიში (წერილი №1948), რაზეც სააგენტოს მიერ სკოპინგის პროცედურის შედეგად დადგინდა დაგეგმილი საქმიანობის გზმ-ის ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი, ასევე გზმ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი საკითხები (ბრძანება № 216/ს (18/05/2023), სკოპინგის დასკვნა №9 (18/05/2023)).

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე (წერილი N21/6224; 01.08.2023) შპს „პლასტიკ ადიოსის“ მიერ წარმოდგენილ იქნა პროექტთან დაკავშირებული დამატებითი/დაზუსტებული ინფორმაცია და დოკუმენტაცია (წერილი N7440; 04.08.2023). დამატებით წარმოდგენილი ინფორმაციით დაზუსტდა საპროექტო ტერიტორიაზე არსებულ გაფრქვევის მილთან დაკავშირებული ინფორმაცია და აგრეთვე, წარმოდგენილ იქნა კორექტირებული ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი. დამატებით წარმოდგენილი ინფორმაცია განთავსდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და დაინტერესებული საზოგადოებისთვის განისაზღვრა შენიშვნების წარმოდგენის ვადა. ზემოაღნიშნული საკითხები განხილულ იქნა საექსპერტო კომისიის მიერ (ბრძანება N382/ს; 08.08.2023).

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, შპს „პლასტიკ ადიოსის“ მიერ დაგეგმილია პლასტმასის ნარჩენების აღდგენის ტექნოლოგიური ხაზის მოწყობა და ექსპლუატაცია. პროექტის განხორციელება დაგეგმილია ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. მერიაში, შპს „ტონუსის“ კუთვნილ 19084 მ² ფართობის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 26.05.37.001) განთავსებულ შენობა-ნაგებობაში, რომლითაც შპს „პლასტიკ ადიოს“ სარგებლობს იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე. ტექნოლოგიური ხაზის განთავსების მიახლოებითი GPS კოორდინატებია: X-739752; Y-4647338. უახლოესი საცხოვრებელი სახლი საპროექტო ტერიტორიიდან დაშორებულია დაახლოებით 115 მეტრით, ხოლო დაახლოებით 10 მეტრში მიედინება უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი, მდ. მერია. გზმ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ საპროექტო მიწის ნაკვეთზე არსებული სხვა შენობა-ნაგებობები გამოიყენება სასაწყობე მეურნეობებისათვის და ობიექტიდან 500-მეტრიან რადიუსში ანალოგიური პროფილის საწარმოები განთავსებული არ არის.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, ნარჩენების აღდგენის ტექნოლოგიური ხაზი იფუნქციონირებს არსებულ შენობაში და დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებისთვის საჭირო არ იქნება ახალი ტერიტორიის ათვისება ან რაიმე სახის სამშენებლო სამუშაოების წარმოება. საწარმო იმუშავებს წლის განმავლობაში 264 დღე, 8-საათიანი გრაფიკით, ყოველდღიურად გადაამუშავებს მაქსიმუმ 2 ტონამდე პლასტმასის ნარჩენებს და აწარმოებს 1200 ლიტრ საწვავს (დიზელი, ნაფტა/თხევადი ნახშირწყალბადების ნარევი). წლის განმავლობაში საწარმოში დაგეგმილია 316,800 ლიტრი საწვავის წარმოება. ობიექტზე დასაქმებული იქნება 10-12 ადამიანი.

საწარმოსთვის განკუთვნილ შენობაში განთავსებული იქნება პიროლიზის მობილური დანადგარი, წარმოებული პროდუქციის საცავები, საწარმოო/დაბინძურებული წყლების დროებითი შესანახი საცავი, ნედლეულის/პლასტმასის ნარჩენების განთავსების ადგილი, ნახშირბადის შემცველი ნარჩენების დროებითი განთავსების ადგილი, შრედერი, ინსტრუმენტების საწყობი, რეაგენტების საცავი (შემდეგი რეაგენტებისთვის: სინთეტიკური ცეოლიტი, აგიდოლი, ნატრიუმის ჰიდროქსიდი, ფოსფორმჟავა) და ატმოსფერული ემისიების გამწმენდი სისტემა, ხოლო შენობის გარეთ, მის მიჯნაზე განთავსდება პიროლიზის გაზის დროებითი ავზი. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საწარმოს მოწყობითი/სამონტაჟო სამუშაოები ნაწილობრივ შესრულებულია, კერძოდ: შენობაში უკვე განთავსებულია 40 ფუტიანი ზღვის კონტეინერი, სადაც დამონტაჟებულია მობილური პიროლიზის დანადგარი და შეტანილია მზა პროდუქციისა და საწარმოო წყლების პლასტმასის ავზები. 2023 წლის 7 აპრილს სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ განხორციელდა საპროექტო საწარმოო ობიექტის ინსპექტირება, შედგენილ იქნა ინსპექტირების აქტი N013262 და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79⁷ მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად შედგენილ იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ N08091 (23.05.2023) ოქმი.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, მობილური პიროლიზის დანადგარი დამონტაჟებულია 40-ფუტიანი ზღვის კონტეინერის საფუძველზე და შედგება შემდეგი ძირითადი ელემენტებისგან: ჰერმეტიკად დახურული რეაქტორის ბლოკი, რომელიც განკუთვნილია პლასტიკური პიროლიზის პროცესისთვის - 450°C ტემპერატურაზე; ღუმელის ბლოკი; კონდენსაციის ერთეული; პიროლიზის გაზის გამწმენდი და შესანახი განყოფილება; გაგრილების და საწვავის გამწმენდი განყოფილება; გაწმენდილი საწვავის შესანახი განყოფილება (ორი ავზი თითოეული 500 ლიტრი მოცულობით); სითბოს გადამცვლელის გაგრილების განყოფილება და საკონტროლო კაბინეტი.

ობიექტზე გადასამუშავებლად გამოყენებული იქნება პლასტმასის ნარჩენები კოდებით: 15 01 02; 02 01 04; 20 01 39; 07 02 13; 16 01 19; 17 02 03; 20 01 39. საპროექტო მახასიათებლების გათვალისწინებითა და „ნარჩენების მართვის კოდექსის“ მიხედვით, დაგეგმილი საქმიანობა ნარჩენების აღდგენის ნაწილში შესაბამისობაშია R 3 ოპერაციასთან, ხოლო ნარჩენების დროებით განთავსების ნაწილში R 13 ოპერაციასთან. საწარმოში ტექნოლოგიური პროცესი წარმართება პიროლოზით, 450°C ტემპერატურამდე, ჰერმეტიულად დახურულ რეაქტორში - რის შედეგადაც პლასტმასის ნედლეული გარდაიქმნება თხევად პროდუქტად. მიღებული პროდუქციის 65% იქნება დიზელის ფრაქცია, ხოლო 35% ნაფტა. ორი ტონამდე ნარჩენის გადამუშავების შედეგად მიიღება ასევე 50% ნარჩენი პროდუქტი, პიროლიზის გაზისა და ნახშირბადის შემცველი ნარჩენების სახით. დოკუმენტის თანახმად, პიროლიზის გაზი გამოყენებული იქნება დანადგარის წვის განყოფილების სანთურების მუშაობისთვის, საწვავის სახით, ხოლო რეაქტორში წარმოქმნილი მყარი ნახშირბადის შემცველი ნარჩენები განთავსდება ბიგ-ბეგებში. საპროექტო დანადგარი დღის განმავლობაში იმუშავებს 8 საათი და შეასრულებს ერთ სრულ ტექნოლოგიურ ციკლს.

საწარმოს ნედლეულით მომარაგება განხორციელდება ხელშეკრულების საფუძველზე, სხვადასხვა ორგანიზაციებისა და ნარჩენების წარმომქმნელი ორგანიზაციების/ფიზიკური პირებისგან, რომლებიც, ასევე, უზრუნველყოფენ ნედლეულის ტრანსპორტირებას. საწარმოს ოპერირების ოპტიმიზაციის მიზნით დაგეგმილია ასევე პლასტმასის ნარჩენების იმპორტი. პლასტმასის ნარჩენების იმპორტი უზრუნველყოფილი იქნება მხოლოდ გრანულირებული ან/და გარეცხილი და დაქუცმაცებული პლასტმასის ნარჩენების სახით, რომელიც შესაბამისად იქნება დაფასოებული.

საწარმოს ტექნოლოგიური ციკლი დაიწყება ნედლეულის რეაქტორში ჩატვირთვით, რაც განხორციელდება ხელით ან ჩანგლით, ბრეკეტების სახით ან წინასწარი მომზადების გარეშე, ჩატვირთვის შემდეგ რეაქტორი ჰერმეტიულად დაიხურება და დანადგარი გაეშვება, კერძოდ: დაიწყება წვის ბლოკის სანთურებზე (ორი სანთურა, თითოეული 150 კვტ სიმძლავრის), საწვავის მიწოდება და რეაქტორის გათბობა საწყის ტემპერატურამდე (150-200°C). საწყისი ტემპერატურის მიღწევას დაიწყება ნედლეულიდან სითხის გამოყოფა და თერმომყარი პლასტმასის დაშლა. რეაქტორიდან აირებისა და ორთქლის ნაკადი გაიგზავნება შთანთქმის/გაწმენდის სვეტში და გამწმენდი სისტემის (სველი ტიპის აირგამწმენდი YOOI 80-0,5) გავლით (ეფექტურობა - 90%) გაიფრქვევა 7,5 მეტრის სიმაღლის მილიდან (GPS კოორდინატები: X-739736, Y-4647336).

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, კომპანიის მიერ დაგეგმილია არსებული გაფრქვევის მილის განახლება, კერძოდ: განხორციელდება მილზე არსებული მცირე ღრმულების დაფარვა, დაჟანგვის/კოროზიის საწინააღმდეგო მასალით შეღებვა და საჭიროებისამებრ ჰერმეტიული მასალით შეფუთვა. აგრეთვე, კომპანიის მიერ მუდმივად განხორციელდება მილის ტექნიკური გამართულობის/მდგომარეობის კონტროლი და რაიმე ტიპის შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ მოხდება მისი აღმოფხვრა.

დანადგარში პიროლიზის პროცესი (რეაქციის შიდა ტემპერატურა - 450°C) მიმდინარეობს ნედლეულის სრულად დაშლამდე. პიროლიზის პროდუქტების ნაკადი გადადის კონდენსაციის განყოფილებაში, სადაც გათვალისწინებულია პიროლიზის პროდუქტების თანმიმდევრული კონდენსაცია. კონდენსაციის შემდეგ დიზელის ფრაქციები და ნაფტა გაცივდება და გაივლის ორეტაპიან გაწმენდას საწვავის გაგრილებისა და გამწმენდის განყოფილებაში. გაწმენდილი თხევადი საწვავი მიწოდება საწვავის შესანახ

განყოფილებას, ხოლო პიროლიზის პროცესის შედეგად წარმოქმნილი პიროლიზის გაზი გაივლის გაწმენდას გაზის გაწმენდა-შენახვის განყოფილებაში. პიროლიზის პროცესი მიმდინარეობს 5-6 საათის განმავლობაში, ხოლო პროცესის დასრულების შემდგომ ხორციელდება დანადგარის გაჩერების რეჟიმში გადაყვანა, თითოეული კომპონენტის გათიშვა და დანადგარის შემდგომი ციკლისათვის მომზადება. გზმ-ის ანგარიშის თანახმად, ასევე გათვალისწინებულია რეაქტორის განტვირთვა (სარემონტო რეჟიმი), როდესაც ხორციელდება აღჭურვილობის შემოწმება, სითბოს გადამცვლელების, მიმღებისა და ავზების გასუფთავება და დახარჯული რეაგენტების/საწარმოო წყლების სათანადო მართვა.

წარმოებული პროდუქცია დროებით გადადის 2 ცალ, 500 ლ მოცულობის დროებით რეზერვუარში, საიდანაც გადაიტუმბება შესაბამის ავზებში და განთავსდება პროდუქციის განთავსებისათვის განკუთვნილ ტერიტორიაზე. აღნიშნული ავზები იქნება პლასტმასის, 2 მ³ მოცულობის, რომლებიც განთავსებული იქნება შესაძლო დაღვრის შემაკავებელ უჯრედში. ავზებიდან ერთი განკუთვნილი იქნება ნაფტასთვის, ხოლო მეორე - დიზელისათვის. პროცესის შედეგად წარმოქმნილი პიროლიზის გაზისთვის საწარმოს ჩრდილოეთით, საწარმოს შენობის მიჯნაზე, ქვიშით დაფარულ, შემოღობილ ზედაპირზე განთავსებული იქნება 50 მ³ მოცულობის, პოლიმერული მასალის რბილი ავზი. პიროლიზის დროს წარმოქმნილ მყარი ნახშირბადის შემცველ ნარჩენებს ჩაუტარდება ლაბორატორიული ანალიზი, სახიფათო ნარჩენად იდენტიფიცირების შემთხვევაში - გადაეცემა სახიფათო ნარჩენების მართვაზე შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას, ხოლო არასახიფათო ნარჩენად იდენტიფიცირების შემთხვევაში - მოხდება მისი, როგორც მეორადი ნედლეულის რეალიზაცია ან, მოთხოვნის არარსებობის შემთხვევაში, განთავსდება ნაგავსაყრელზე.

დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში წყლის გამოყენება გათვალისწინებულია საწარმოო, სასმელ-სამეურნეო და ხანძარსაწინააღმდეგო დანიშნულებით. სასმელი წყლის ობიექტზე შეტანა განხორციელდება ბუტილირებული ფორმით. ხოლო საწარმოო დანიშნულებით წყალაღება განხორციელდება ტერიტორიის სიახლოვეს, X-739740 Y-4647436 კოორდინატზე არსებული ჭაბურღილიდან, შესაბამისი ლიცენზიის საფუძველზე. გზმ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ ტექნოლოგიური ციკლი პლასტმასის ნარჩენების რეცხვას არ ითვალისწინებს, შესაბამისად, ობიექტზე ნარეცხი წყლების წარმოქმნას ადგილი არ ექნება. წყალი გამოყენებული იქნება გამაგრებელ კომპლექსსა და სითბოს გადამცვლელებში, რისთვისაც ყოველდღიურად საჭირო იქნება დაახლოებით 5 მ³ წყალი. ტექნოლოგიურ ციკლში გამოყენებული წყალი შეგროვდება სპეციალურ საცავში და შემდგომი მართვის მიზნით გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას. წლის განმავლობაში მოსალოდნელია 12 მ³ საწარმოო წყლის წარმოქმნა. ობიექტზე წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური წყლები შეგროვდება 2 მ³ მოცულობის საასენიზაციო ავზში და გატანილი იქნება მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურის მიერ.

წარმოდგენილ დოკუმენტაციაში მიმოხილულია პროექტის ალტერნატიული ვარიანტები. მათ შორის, ადგილმდებარეობის, ტექნოლოგიური და ნულოვანი ალტერნატივები. გზმ-ის ანგარიშის თანახმად, საწარმოს განთავსებისთვის განიხილებოდა ორი ალტერნატიული ტერიტორია ოზურგეთისა და აბაშის მუნიციპალიტეტებში. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ტერიტორიის შერჩევა განხორციელდა არსებული კომუნიკაციების, დასახლებული პუნქტის დაშორების, საავტომობილო გზისა და საწარმოს განსათავსებლად შესაბამისი ნაგებობის არსებობისა და გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების მცირე მასშტაბის გათვალისწინებით.

ტექნოლოგიური ალტერნატივებიდან დოკუმენტში განხილულია დაბალტემპერატურული პიროლიზის დანადგარი და შერჩეული - კონტეინერის ტიპის საწარმო. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ შერჩეული ტიპის საწარმო არ იყენებს დიდ ფართობს, ყველა მოწყობილობა განთავსებულია 40-ფუტიან კონტეინერში და არ ითვალისწინებს მასშტაბურ სამშენებლო სამუშაოებს. აგრეთვე, გადამუშავების მცირე მოცულობიდან გამომდინარე, მცირდება წარმოების შედეგად მოსალოდნელი მავნე ნივთიერებების ემისიები. გზმ-ის ანგარიშში ასევე აღნიშნულია, რომ ტექნოლოგიის შერჩევასა აგრეთვე გათვალისწინებულ იქნა მიღებული საწვავის ხარისხი.

დოკუმენტში ასევე განხილულია არაქმედების ალტერნატივა და აღნიშნულია, რომ საწარმოს ოპერირება დაგეგმილია უკვე არსებულ ნაგებობაში და ტერიტორიაზე, სადაც ბუნებრივი გარემო უკვე სახეცვლილია. ასევე, დოკუმენტის თანახმად, საქმიანობა გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებებს არ გამოიწვევს, ხოლო სოციალურ-ეკონომიკური კუთხით დაკავშირებული იქნება დადებით ეფექტთან შექმნილი სამუშაო ადგილების სახით. აგრეთვე, საქმიანობა დადებით გავლენას იქონიებს ქვეყანაში პლასტმასის ნარჩენების მართვის კუთხით.

გზმ-ის ანგარიშში მიმოხილულია დაგეგმილი საქმიანობით გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება და აღნიშნულია, რომ ტექნოლოგიური ხაზის განთავსება დაკავშირებული არ ყოფილა ბუნებრივი ლანდშაფტის ცვლილებასა და ახალი ტერიტორიის ათვისებასთან. აგრეთვე საქმიანობის მცირე მასშტაბის გათვალისწინებით, ობიექტის ექსპლუატაციის ეტაპზე გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. აგრეთვე, მოსალოდნელი არ არის ზემოქმედება ნიადაგის ნაყოფიერ ფენასა და გრუნტის ხარისხზე.

დოკუმენტში ასევე აღნიშნულია, რომ ვინაიდან საქმიანობის განხორციელება იგეგმება ურბანულ გარემოში, ანთროპოგენურად დატვირთულ ტერიტორიაზე, საწარმოს ექსპლუატაციის შედეგად ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედებას ადგილი არ ექნება. აგრეთვე, ტერიტორიის მიმდებარედ არ ფიქსირდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები.

გზმ-ის ანგარიშში განხილულია დაგეგმილი საქმიანობის შედეგად ხმაურის წარმოქმნისა და გავრცელების საკითხები და აღნიშნულია, რომ ხმაურის შესაძლო გავრცელება დაკავშირებული იქნება მხოლოდ ტექნოლოგიური ხაზის ოპერირებასთან და ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის წარმომქმნელი ძირითადი წყაროები იქნება მობილური პიროლიზის დანადგარი და შრედერი. დოკუმენტში წარმოდგენილია აღნიშნული დანადგარების ექსპლუატაციისას წარმოქმნილი ხმაურის მაჩვენებლები. გზმ-ის ანგარიშში მოცემული გაანგარიშების თანახმად, ხმაურის დონეები უახლოეს საცხოვრებელ სახლთან (115 მ) 27.3 დბ-ს მიაღწევს და არ გადააჭარბებს კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს. ამასთან, გზმ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ ტექნოლოგიური ხაზი იფუნქციონირებს მხოლოდ დღის საათებში (8 სთ), ერთდროულად შრედერი და პიროლიზის დანადგარი არ იფუნქციონირებს. აგრეთვე, გარდა ხელოვნური ბარიერ(ებ)ისა ხმაურშემაკავებელი ეკრანის ფუნქციას ასრულებს ასევე ხმაურის წარმომქმნელ უბანსა და ხმაურის მიმდებარე წყაროებს შორის არსებული ხე-მცენარეები.

გზმ-ის ანგარიშისა და ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტში შეფასებულია ობიექტის ფუნქციონირებით გამოწვეული ზეგავლენა და ფაქტობრივი მაჩვენებლები ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე. საწარმოში იდენტიფიცირებულია მავნე ნივთიერებათა გამოყოფის და გაფრქვევის წყაროები,

ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების შემადგენლობა, მათი რაოდენობრივი მაჩვენებლები და გაფრქვევის სხვა პარამეტრები.

ობიექტის ფუნქციონირებისას ატმოსფერულ ჰაერში გაიფრქვევა შემდეგი სახის მავნე ნივთიერებები: აზოტის დიოქსიდი, გოგირდის დიოქსიდი, გოგირდწყალბადი, ჭვარტლი, ნახშირბადის ოქსიდი, ნაფტა, ნაჯერი ნახშირწყალბადები და შეწონილი ნაწილაკები (მტვერი). ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წყაროებია: პიროლიზის დანადგარის რეაქტორის სანთურა, ნაფტას შუალედური რესივერები, დიზელის საწვავის შუალედური რესივერები, ნაფტას შესანახი რეზერვუარი, დიზელის შესანახი რეზერვუარი, პიროლიზის დანადგარიდან ნახშირბადშემცველი ნარჩენების ჩამოცლა ბიგ-ბეგებში, პლასტმასის ნარჩენების საჭრელი დანადგარი - შრედერი. გაბნევის ანგარიში შესრულებულია ობიექტის სრული სამუშაო დატვირთვის დროს, რომლის მიხედვითაც ობიექტის ფუნქციონირების პროცესში ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებათა კონცენტრაცია, როგორც საწარმოს განთავსების 500-მეტრიან რადიუსში, ისე უახლოესი ობიექტის, მაღაზიის (40 მ) მიმართ არ გადააჭარბებს კანონმდებლობით დასაშვებ ნორმებს და მიღებული გაფრქვევები შესაძლებელია დაკვალიფიცირდეს როგორც ზღვრულად დასაშვები გაფრქვევები.

საწარმოს ექსპლუატაციისას ადგილი ექნება როგორც სახიფათო, ისე არასახიფათო ნარჩენების, მათ შორის - მცირე რაოდენობით შავი ლითონის წარმოქმნას. გზშ-ის დოკუმენტაციის თანახმად, მუნიციპალური ნარჩენები განთავსდება კონტეინერებში და მათი მართვა მოხდება მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურის მიერ, ხოლო პიროლიზის შედეგად წარმოქმნილი ნახშირბადის შემცველ ნარჩენებს, როგორც აღინიშნა თავდაპირველად ჩაუტარდება ლაბორატორიული ანალიზი, რის საფუძველზეც მოხდება მისი შემდგომი მართვა. ასევე, ობიექტზე დანადგარის შევსების დროს დაფანტული პლასტმასი შეგროვდება და დაბრუნდება ტექნოლოგიურ ციკლში ხოლო შავი ლითონი შემდგომი მართვის მიზნით გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, დაგეგმილი საქმიანობის სიახლოვეს ანალოგიური ფუნქციური დატვირთვის ან/და სხვა სახის საწარმოო ობიექტი არ ფიქსირდება. ასევე, საპროექტო ობიექტის ირგვლივ დაგეგმილი არ არის ანალოგიური ან/და სხვა რაიმე სამრეწველო ტიპის საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაცია. შესაბამისად, საქმიანობის განხორციელებით კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ იქნება.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სააგენტომ უზრუნველყო წარმოდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის და საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით გავრცელება, მათ შორის ინფორმაცია განთავსდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე და საქმიანობის განხორციელების სიახლოვეს ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებზე. ინფორმაცია გამოქვეყნდა ასევე სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ვებგვერდზე და გადაიგზავნა ცენტრის გამომწერებთან ელ. ფოსტის მეშვეობით. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა გაიმართა 2023 წლის 20 ივლისს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. მერიის ადმინისტრაციული ერთეულის შენობაში. საჯარო განხილვას ესწრებოდნენ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის, საქმიანობის განმახორციელებელი კომპანია შპს „პლასტიკ ადიოსის“, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის, გზშ-ის ანგარიშის მომამზადებელი კომპანიის - შპს „გარემოსდაცვითი შეფასების ჯგუფის“ წარმომადგენლები და სოფ. მერიის მოსახლეობა. საჯარო განხილვის მსვლელობისას დამსწრე საზოგადოების მიერ დასმული შეკითხვები ეხებოდა საწარმოში

ადგილობრივების დასაქმებისა და დასაქმებულთა ასაკობრივ შეზღუდვასთან და საწარმოო პროცესიდან ატმოსფერულ ჰაერთან და ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საფრთხეების საკითხს. აღნიშნულ შეკითხვებთან დაკავშირებით განმარტება გააკეთა კონსულტანტმა, რომელმაც აღნიშნა, რომ საწარმოს საქმიანობისას არ მოხდება კანონმდებლობით გათვალისწინებულ ზღვრულად დასაშვები ნორმების გადაჭარბება, ხოლო კომპანიაში საშუალოდ შესაძლოა დასაქმდეს დაახლოებით 12 ადამიანი.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, სააგენტოში პროექტთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები/მოსაზრებები წარმოდგენილი არ ყოფილა.

გზმ-ის ანგარიშს თან ერთვის საქმიანობის გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა, გარემოზე მოსალოდნელი ნეგატიური ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები, ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა, დასკვნები და რეკომენდაციები.

აღნიშნული გზმ-ის ანგარიში განიხილეს შესაბამისმა ექსპერტებმა და სპეციალისტებმა გარემოსდაცვითი შეფასების სხვადასხვა მიმართულებით, რომელთა დასკვნებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასების, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-12 მუხლის და ამავე კოდექსის II დანართის 10.3 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. მერიაში შპს „პლასტიკ ადიოსის“ ნარჩენების აღდგენაზე (პლასტმასის ნარჩენების გადამუშავება);
2. ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა განუსაზღვრელი ვადით;
3. შპს „პლასტიკ ადიოსმა“ საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, ანგარიშში წარმოდგენილი ტექნოლოგიური სქემის, გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების, გარემოსდაცვითი მონიტორინგის და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმების, დასკვნებისა და რეკომენდაციების შესაბამისად;
4. შპს „პლასტიკ ადიოსმა“ უზრუნველყოს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტით სააგენტოსთან შეთანხმებული გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების დაცვა და შესაბამისად, ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების შესრულება;
5. შპს „პლასტიკ ადიოსმა“ ექსპლუატაციის დაწყებამდე უზრუნველყოს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა მონიტორინგის გეგმის ხელახალი შემუშავება და სააგენტოსთან შეთანხმება, სადაც გაფრქვევის წყაროებზე მონიტორინგის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან ერთად, გათვალისწინებული იქნება ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების რაოდენობის განსაზღვრის ინსტრუმენტული მონიტორინგის საკითხები ობიექტის ტერიტორიიდან უახლოესი ნორმირებული პუნქტის საზღვარზე (40 მ). მონიტორინგის განხორციელება უზრუნველყოს შეთანხმებული გეგმის შესაბამისად;
6. შპს „პლასტიკ ადიოსმა“ ექსპლუატაციის დაწყებამდე უზრუნველყოს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 4 აგვისტოს N211 ბრძანების შესაბამისად ნარჩენების მართვის გეგმის სამინისტროსთან შეთანხმება. ნარჩენების მართვა უზრუნველყოს ნარჩენების

მართვის კოდექსით და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით განსაზღვრული ვალდებულებებისა და მოთხოვნების და შეთანხმებული გეგმის შესაბამისად;

7. შპს „პლასტიკ ადიოსმა“ ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს საწარმოს ტექნოლოგიურ ციკლში ჩართული დანადგარების მუდმივი ტექნიკური კონტროლი;
8. შპს „პლასტიკ ადიოს“ ვალდებულია საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციაში შესვლის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს სააგენტოს;
9. შპს „პლასტიკ ადიოსმა“ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განახორციელოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
10. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „პლასტიკ ადიოსს“ და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
11. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „პლასტიკ ადიოსს“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
12. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალსა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
13. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ვასილ გედევანიშვილი



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

